



## მორიბი აღმოჩენა ბრაკლიან გორაზე

თსუ არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გრაკლიან გორაზე ძველი ნაგებობის აღმოჩენა და მისი პირველი შემთხვევა, როცა ამ პერიოდის ძველი შემორჩენილი მთლიანად და იძლევა იმ დროის ცხოვრების შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას შექმნის შესაძლებლობას. ცენტრალურ ადგილას დიდი საკურთხეველია; სათავსოში გამართულია ღუმელი, რომელზეც ქურუმებისთვის ცეცხლის გადსასვლელი ვანები დევს; იქვე არის სამკურნალო მცენარეების თესვების დასაფუძვლი მოწყობილობა.

გათხრებში თსუ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის და ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის 15 სტუდენტი. საველე სამუშაოები მოინახულა და სტუდენტებს შეხვდა თსუ რექტორი ვიორგი შარვაშიძე.

შიდა ქართლში, გრაკლიან გორაზე იეანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური გათხრები 2008 წელს დაიწყო, სადაც თსუ სტუდენტებისთვის საველე პრაქტიკის ბაზაა ჩამოყალიბდა.

2015 წელს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „გრაკლიანის გორას“ ეროვნული კარგის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. გათხრები დღემდე გრძელდება. გეოგრაფიულად 11 განსხვავებული პერიოდის კულტურის ნაშთებია აღმოჩენილი, ქვის ხანიდან დაწყებული ახ.წ. მეხუთე საუკუნემდე. აქ არის, როგორც სამეურნეო ნაგებობები, ასევე საცხოვრებელი და გაძრები.



## ანა მებრელიშვილი და მაია ბაბელია – გუნდი „100%“ თსუ მარკეტინგული კონკურსის გამარჯვებული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის სტუდენტების ანა მებრელიშვილისა და მაია ბაბელიას პროექტმა „მადალმთიან რეგიონებში ქალთა ფინანსური განათლების ხელშეწყობა გურისგული ბიზნისის განსაკუთრებულად“ ჟიურის მოწონება ერთხმად დაიმსახურა და „მისია 2019“-ის გამარჯვებულის სტატუსს მიაღწია.

განათლების მხარდაჭერის მიმართულებით მომზადებული 5 პროექტიდან პროექტ მისია 2019-ის პარტნიორი კომპანიის „ბაზისბანკის“ მოთხოვნებს სრულად ანა მებრელიშვილისა და მაია ბაბელიას პროექტი აკმაყოფილებდა და როგორც ჩანს, კომპანიის სამომავლო გეგმებშიც ჯდება. „ბაზისბანკმა“ გადაწყვიტა სტუდენტების შექმნილი პროექტი რეალურად განახორციელოს და, რა თქმა უნდა, მასში პროექტის ავტორებიც ჩართოს.

გვ. 2

## კვლევა იწყება სკოლიდან – უნიკალური შესაძლებლობა სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს...



კვლევა იწყება სკოლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სმარტლაბი SMART|Smr\_lab (School meets Research) შეიქმნება, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების საბიოლოგიური გაკვეთით პროექტები ამოქმედდება.

JuLab-ის მასწავლებლები ქართველ მასწავლებლებს სახალისო ექსპერიმენტებზე დაუფლებული სწავლების მეთოდებს გააცნობენ, რათა მოსწავლეებს მუსიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესი გაუღვივონ.

გვ. 2

## კორტოს უნივერსიტეტის წარმომადგენლების ვიზიტი თსუ-ში

### „კონკურსის შედეგად თსუ-დან ჩვენთან მართლაც კარგი სტუდენტები მოდიან, რომლებსაც აქვთ მაღალი ქულები, პასუხისმგებლობის ბრძოლა და საზოგადოებაში ახარება ინტეგრირებას“

„ერამპუს პლიუს“-ის მობილობის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტების გარდა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებიც სტუმრობენ. ერთ-ერთი, მათ შორის, პორტოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და რექტორის ოფისის წარმომადგენლებსგან შემდგარი დელეგაციაც იყო.

რიგა სანგომი, ულან დეკლერკი და პუგო პინგო დე აბრი საქართველოში დაახლოებით, ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

რიგა სანგომი: „ერამპუს პლიუსის პროგრამის ფარგლებში პარტნიორთა თსუ-სთან 2015 წლიდან გვაქვს. ჩვენ აქ „სტაფის“ მობილობის პროგრამის ფარგლებში ვიმყოფებით. რადგან მე და ელენი საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებას წარმოვადგენთ, ბუნებრივია, ამ ვიზიტისას ჩვენი მიზანი საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით ურთიერთობის ახლანდელ ასპექტებსა და შემდგომ პერსპექტივებზე იყო ფოკუსირებული“.

პუგო პინგო დე აბრი: „ჩემი მიზანი კი მმართველობის და მენეჯმენტის კუთხით უფრო მეტის შეგებობა, გაცნობა იყო. იმ მთავარი გამოწვევების

გაცნობა, რაც ამ კუთხით თქვენთან არსებობს. შემძლია ვთქვა, რომ თქვენსა და ჩვენს უნივერსიტეტებს შორის ძალიან საინტერესო მსგავსებები და განსხვავებები არსებობს. მსგავსება პირველ რიგში სტუდენტების რიცხოვნობაშია. გარდა ამისა, ჩვენი უნივერსიტეტის მსაგავსად, თქვენთანაც არსებობს სხვადასხვა სკოლები ავტონომიურობის სხვადასხვა ხარისხით. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მათი სტრატეგიის გაცნობა. ბუნებრივია, ამ სკოლების სტრატეგია უმაღლესი სასწავლებლის მთლიან სტრატეგიაში არის ინტეგრირებული. ამ მხრივ ძალიან საინტერესო იყო შეხ-

გვ. 2 გვ.

## ღია კარის დღეების საქართველოს ტური თსუ დესკანები საქართველოს 200-ზე მეტ სკოლას ესტუმრნენ



თსუ დესკანის დასავლეთ საქართველოს ტური დასრულდა. უნივერსიტეტის შესახებ გაცნობითი შეხვედრები ქვეყნის 5 ქალაქში – ქუთაისში, მუგდღში, იზორგეთში, ბათუმსა და ახალქალაქში მიმდინარეობდა. ღია კარის დღეებში ჩართულ 70-ზე მეტი სკოლის 700-ზე მეტი მოსწავლე, პროექტის მიზანია თსუ-ის საგანმანათლებლო პროგრამების და სტუდენტური ცხოვრების გაცნობა რეგიონში მცხოვრები მოსწავლეებისათვის.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტის და აბიგურდინგ-თა მისამართული სამსახურის ორგანიზებით ღია კარის დღეები აპრილის თვეში უკვე განხორციელდა მარნეულში, თელავში, გორსა და სიღნაღში, სადაც 100 – მეტი საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

გვ. 2 გვ.

## #ნიკომალღივი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუჩის ხელოვნების მოძრაობის „ნიკო“ ერთობლივი ინიციატივით, პროექტის #ნიკომალღივი ფარგლებში, თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის კორპუსის 6 კვადრანტი მოიხატა. დაგეგმილია სულ 15 სივრცის მოხატვა.

ექსპერიმენტულ პროექტში მხატვრებსა და ხელოვნების სამუშაოებზე აქვთ მიაღწია დიდ მასშტაბებზე ხატვის გამოცდილება.

გვერდები იღებ ვეებთანმშრომლობა უნივერსიტეტთან და პირველ შეხვედრაზე, აღმოვაჩინეთ 15 სხვადასხვა სივრცე მაღალი. უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელებული ეს პროექტი განსხვავდება ჩვენი ყოველწლიური ფესტივალისგან. ამ შემთხვევაში არგისტებს დიდ მასშტაბებზე ხატვის გამოცდილების

შესაძლებლობა აქვთ. ეს არის ერთგვარი „საპარაოლი დარბაზი“, სადაც ხელოვნებაში ვაწარმოებთ არგისტები ცდიან საკუთარ ძალებს დიდ მასშტაბებზე ხატვაში.

ნახატებს აქვთ მხოლოდ ერთი რამ საერთო – ყველა თავისუფალი თემითაა შექმნილი და მხოლოდ მხატვრის ფანტაზიით არის შემოსაზღვრული.

ეს პროექტი საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვგეგმავთ შექმნათ პლაგატივები, რომელიც სამუშაოებს მისცემს ყველა მსურველს დახლოვდეს ასეთ დიდ მასშტაბებზე ხატვაში. ეს იქნება ერთგვარი ქუჩის გალერეა სადაც ნახატები გარკვეული პერიოდობით გადამახატება და ახალი სხეულები იქნება ყოველ წელს“, – ამბობს ქუჩის ხელოვნების მოძრაობის „ნიკო“ დამფუძნებელი სანდრო კვანცალიანი.



## რუსთაველის საამცნიერო ფონდის გამარჯვებული თსუ-დან თსუ მაგისტრანტის პროექტი მედიცინაში გამოყენებული ბიოლოგიურად აქტიური ორგანიზმის ნივთიერების შექმნას და კვლევის ითვალისწინებს

თსუ მუსკ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მაგისტრანტის სტუდენტი სოფიკო კვიციანიკაძე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტის გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის გამარჯვებული გახდა. ფონდის მიერ დაფინანსებული 21 პროექტიდან 10 პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერების ეკუთვნის. სოფიკო კვიციანიკაძის პროექტი მოიცავს მეტად საინტერესო ორგანიზმული ნივთიერების მიღებას. კვლევის შედეგს ექნება

გვ. 3

## თსუ მაგისტრანტი სამცხე-ჯავახეთში არსებულ რელიგიურ ძეგლებსა და რემონტის პროექტს იკვლევს

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებთა ფაკულტეტის სტუდენტი სოფიკო კვიციანიკაძე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტის გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის გამარჯვებული გახდა. სალომე ქველიაშვილის პროექტი სამცხე-ჯავახეთში არსებულ რელიგიურ ძეგლებსა და მათი რემონტის პროექტის პარალელურად იქნება. „რემონტირების პროექტის მიზანია იმ ძეგლების აღდგენა, რომლებიც მდგრადი არ არის და მათი აღდგენა მნიშვნელოვანია რელიგიური კვლევის მიერ კონკრეტული საკითხებისადმი პროტესტისა და ერთგვარი თვალყურის შემდგომი გამოხატვა, რაც სწორად „კონგრ-ქმედების“ სახით ვლინდება,“ – გვიხსნის სალომე. მისი კვლევითი პროექტი მესხეთის სამ დასახლებაში, სოფელ მთხეში, ჭელასა და დაბა ადიგენში განხორციელდა.

გვ. 3

# კორტოს უნივერსიტეტის წარმომადგენლების ვიზიტი თსუ-ში

1-ლი გვერდიდან

ველრა ISET-ში, რამაც საშუალება მომცა შეემთხვეოთ იმ საუბარს, რაც ეკონომის სტრუქტურის მიმართებაში არსებობს. გარდა ამისა, გვექონდა შეხვედრა ასევე კანცლერის ოფისის წარმომადგენელთან. აქ ყოფნისას გავეცანი არა მხოლოდ თსუ-ს, რომელიც კარგად ორგანიზებული ინსტიტუტია, არამედ სხვადასხვა მინდა დაგვიჩვენა, ჩამო ალფრთოვანება იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად იგეგმება წინსვლა, რაც საქართველომ მოგადად განახორციელა ბოლო დეკადის განმავლობაში. ძალიან ბევრი ქვეყნისთვის, რომელიც საბჭოთა კავშირის წევრი იყო, მისი დამსწრე შემდეგ მსგავსი რამ მარტივი არ ყოფილა. საქართველოს კი ამ მხრივ თვალსაჩინო მიღწევები აქვს. ვფიქრობ ეს გარკვეულწილად ქართული ხასიათის დამახასიათებელია“.

ურთიერთობების დეპარტამენტი ძალიან კარგ საქმეს აკეთებს. ამ კონკურსის შედეგად ჩვენთან მართლაც კარგი სტუდენტები მოდიან, რომლებსაც აქვთ მაღალი ქულები, პასუხისმგებლობის გრძობა და საზოგადოებაშიც ახერხებენ ინტეგრირებას. შემოიღო გითხრათ, რომ პორტოს უნივერსიტეტში თსუ საქართველოდან ყველაზე წარმომადგენლობითი ინსტიტუტია“ – აცხადებს იგი.

ელინ დეკლერი: „ამ ვიზიტის მერე უფრო მეტი მეცოდინება მოგადად თსუ-ს შესახებ. და ჩემს კოლეგა რიგის ვიზიტს, რომ ამჟამად უფრო მეტად ჩამართოს საქართველოდან ჩამოსულ სტუდენტებთან დაკავშირებულ საქმიანობებში. გაეცნობ და დაეინტეგრირდება, რამით თუ შემიძლია მათ დაეხმარო“.

„რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს, ჩვენ შევითვალისწინებთ ჩვენს ხელმძღვანელს, რომ გრანტები გამოიყოს საქართველოში ჩვენი სტუდენტების მოვლისთვის თვალსაზრისითაც. რთულია, დაფინანსების გარეშე 6 თვის განმავლობაში სამდღეობაზე სწავლა. თუ გრანტების საკითხი დადებითად გადაწყდება, არა მხოლოდ თქვენი სტუდენტები ჩამოვლენ ჩვენთან, არამედ დაახლოებით 2 წლის შემდეგ თსუ პორტოს უნივერსიტეტში ჩამოვლენ სტუდენტებს. მით უმეტეს, რომ აქ სასწავლებლად და საცხოვრებლად მათთვის მართლაც კარგი პირობები არსებობს“, აცხადებენ პორტოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

# ლია კარის ღვაწლის საქართველოს ტური

თსუ ღვაწლის საქართველოს 200-ზე მეტ სკოლას ესტუმრნენ

1-ლი გვერდიდან

თსუ ღვაწლის დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის შესახებ თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამების კოორდინატორი, დემეტრე მოღვაძე გვიყვება.

„პროექტი „თსუ ღვაწლი“ თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ორგანიზებით უკვე 7 წელია ხორციელდება. აქტიურობის თვალსაზრისით წლებიდან წელი საკმაოდ გამოირჩეული იყო. პროექტში ჩართულმა ღვაწლებმა საქართველოს 200-ზე მეტ სკოლაში განახორციელეს ვიზიტი და დაახლოებით 4000-ზე მეტ უფროსკლასელს მიაწოდეს ინფორმაცია საბავშვო პროგრამებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ. ქვეყნის მასშტაბით არ დარჩა სკოლა და მოსწავლე, რომელმაც პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ღვაწლი ვერ მივიდა,“ – ამბობს დემეტრე. მისი თქმით, რეგიონებში ღვაწლის ღვაწლის ჩატარების შესახებ იდეა საორგანიზაციო ჯგუფში გაჩნდა.

„საორგანიზაციო ჯგუფის იდეა იყო შემდეგი – ჩვენ არ შემიფარგლებოდათ კონკრეტული ქალაქით, კონკრეტული სკოლით, ჩვენს შეხვედრად დასწრების შესაძლებლობა ექნებოდა რეგიონში მცხოვრებ ნებისმიერ მოსწავლეს, მისწავლებელსა თუ მშობელს, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა მიწვევით უნივერსიტეტში დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ. ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პროექტს გვერდში ედგა სამინისტრო, რომელიც გვეხმარებოდა ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრთან ურთიერთობაში, რომელიც ავრცელებდა ინფორმაციას შეხვედრის შესახებ და გამოყოფდა ადგილს შეხვედრის ჩასატარებლად.

პროექტი განხორციელდა თსუ სტუდენტური პროექტების დაფინანსებით, მასში ჩართული იყო 5 სტუდენტი: მარიამ მოღვაძე და ჯივან მკერტიანი, რომლებიც „თსუ ღვაწლი 2018“ წლის საუკეთესო ღვაწლები არიან; ანა ხარებაშვილი, 2019 წლის აქტიური ღვაწლი, რომელიც ასევე 1+4 პროგრამის გუგორიც გახლავთ; ასევე 2 ლოკატორანიც, ვიოტო გრიგოლაშვილი, რომელიც ამავე დროს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის უფროსია და მე, დემეტრე მოღვაძე, რომელიც თსუ საბავშვო უნივერსიტეტის წარმომადგენელი ვარ. მოსწავლეთა გამოხმაურებებმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა, თითოეულ ქალაქში გველოდნენ უფროსკლასელები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ



სხვადასხვა აქტიური საკითხით, მომავალი საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ფაკულტეტების და გაცვლითი პროგრამებით.

ერსო აქტიური თემებზე. ამ სახით, სტუდენტური შემადგენლობით, ეს აქტიურობა იყო პირველი და შეიძლება ითქვას რომ საგნისთვის კი. მიუხედავად ამისა პროექტს არ შეუძლია ხარვეზები. წარმატებული პირველი ღვაწლის დასრულების შემდეგ, პროექტი მომავალშიც გაგრძელდება და გაცვლითი მასშტაბური გახდება,“ – ამბობს დემეტრე მოღვაძე.

# კვლევა იწყება სკოლიდან – უნიკალური შესაძლებლობა სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს...

1-ლი გვერდიდან

გერმანულმა მხარემ ამ პროექტისთვის 2018 წლის შემოდგომაზე თსუ-ს სმარტ-ლაბორატორიის საჩუქრად ფიზიკის გაკვეთილის სადემონსტრაციო საშუალებებისთვის საჭირო (2000 ევროს ღირებულების) ხელსაწყოები გადასცა.

და მეცნიერების სფეროში ხანგრძლივადიან თანამშრომლობას ითვალისწინებს.

პროგრამის ფარგლებში თსუ-ს მაგისტრანტი მედეა აბრამიშვილი უკვე იმყოფებოდა JuLab-ში, სადაც 7 კვირიანი მოსამზადებელი კურსი გაიარა, რომლის საფუძველზეც შედგა შეთანხმება, რომ თბილისში (14-19 ოქტომბერი) ერთობლივი ვორქშოპი ჩატარდებოდა.

ვორქშოპი ქართველი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის გაიმართება. მონაწილეები იულისის ექსპერიმენტალურ ყუთს გაეცნობიან თემებზე „ექსპერიმენტა“.

ქართველ მასწავლებლებს და მომღვაწეებს ეგაბზე მოსწავლეებსაც შესაძლებლობა ექნებათ გერმანიაში გაემგზავრონ და საჩვენებელი გაკვეთილებს დაესწრონ.



# ანა მეგრელიშვილი და მაია ბაბელია – გუნდი „100%“ თსუ მარკეტინგული კონკურსის გამარჯვებული

1-ლი გვერდიდან

იღის ავტორები ასე განმარტავენ პროექტის არსს: „დღეს საქართველოში მთიანი რეგიონებში და არა მარტო, საკმაოდ აქტიურად ვითარდება საოჯახო გიგანის სისტემების ბიზნესი, რომელთა მფლობელებიც ქალები არიან. სამწუხაროდ, ამ ქალების კვალი იფიქსირება ხშირად არ შეესაბამება იმ სტანდარტებსა და ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ, პროექტის მიზანია ამ აღნიშნულობის საბაზისო ფინანსური განათლების მიცემა და შედეგად გურამის სფეროს განვითარებისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა“.



სტუდენტებისთვის გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა. პროექტზე ერთი თვის განმავლობაში დიდი მონაწილეობით მუშაობდნენ და მონაწილეობამ სასურველი შედეგიც გამოიღო. „პროექტ „მისია“-ში უკვე მეორედ ვიღებ მონაწილეობას. გასულ წელს საბაზისო ადგილზე ვერ გავედი, ძალიან დამწყდა გული და გადავწყვიტე, ახალი ძალებითა და გამოცდილებით კიდევ ერთხელ მეცადა ბედი. წინა წელს მიღებული ცოდნა და გამოცდილება ძალიან დამხმარა „მისია 2019“-ის პროექტზე მუშაობაში და ჩვენმა მუშაობამ გამარჯვებაც მოგვიტანა,“ – ამბობს ანა.

ანასთან განსხვავებით „მისია“ სასამართლო სიახლე და მორტივი გამოწვევა აღმოჩნდა მაია გაბელიასთვის. პროექტში მონაწილეობა ანამ გადააწყვეტინა. „უნივერსიტეტში ყოფნის ბოლო წელია, ამიტომ მსურდა, ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე გამოემყენებინა. პროექტზე მუშაობის პროცესი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

პროექტის განმავლობაში გრენინგები გეგმავდებოდა, სადაც პროფესიონალებისგან ვისწავლე, უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკაში სწორად როგორ გამოვიყენო – როგორ წარვადგინო პროექტი, როგორ გავაკეთო ბიუჯეტირება, ძლიერი და სუსტი მხარეები სწორად როგორ შევფასო, ჩვენი მენეჯერის ცოდნა ძალიან დაგვეხმარა პროექტის წარმატებულად მომზადებაში და საბოლოო ჯამში, დიდი გამოცდილება მივიღე,“ – ამბობს მაია.

ანა მეგრელიშვილი და მაია გაბელია

ლია მეოთხე კურსის სტუდენტები არიან. ბაკალავრიატს ამ წარმატებით ასრულებენ, თუმცა წინ დიდი გეგმები აქვთ. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას გეგმავენ. მაიას, სამომავლოდ, ფინანსების კუთხით უნდა მოღვაწეობა, ანა კი საკუთარ თავს მარკეტინგის სფეროში ხედავს და იმედი აქვს, რომ მომავალში საკუთარი ბიზნესის დაწყებას შეძლებს.

პროექტი „მისია 2019“ კი მათ დიდ სამომავლო გეგმებში პირველი წინ გადადგმული ნაბიჯია.

# რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გამარჯვებულები ტსუ-დან

## ტსუ მაგისტრანტის პროექტი ევლინინაში გამოსაყენებელი ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნივთიერების შექმნას და კვლევას ითვალისწინებს

**1-ლი გვერდიდან**

პრაქტიკული ღირებულება ორგანული სინთეზის მეთოდების შემუშავება/მოდიფიცირების თვალსაზრისით. სინთეზური ნაერთებს აღმოაჩინდა მაღალი ბიოლოგიური აქტიურობა და მკვლევარებს იმედი აქვთ, რომ შესაძლებელი იქნება მათ პრაქტიკული გამოყენება მედიცინაში – მაგალითად კანის სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, ოფთალმოლოგიაში ან სტომატოლოგიაში.



„პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები გარდობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. ტსუ-ს მუსკ და სიბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანული ქიმიის კათედრაზე, ორგანული ნივთიერებათა სინთეზის ლაბორატორიაში. ვიყენებ უნივერსიტეტის მაგისტრალურ-გექნიკურ ბაზას. ორგანული სინთეზის თითოეულ ეტაპზე მიღებული ნივთიერების სტრუქტურის კვლევისთვის ვიყენებ ამავე უნივერსიტეტისა და სან-დევის სახელმწიფო უნივერსიტეტის-საქართველოში ფარგლებში ფიზიკური ქიმიის კათედრის სამეცნიერო ლაბორატორიას.

წინასწარი გათვლებით, ჩვენი ნივთიერებები ხასიათდება მაღალი პროცენტული აღბეჭდვით ბიოლოგიური აქტიურობითა და გოქსიკურობის დაბალი მაჩვენებლით (PASS Online), ამიტომ მნიშვნელოვან შედეგება გამოიყენებოდა მაგალითად, კანის სხვადასხვა დაავადების მკურნალობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში დასინთეზირებული ნივთიერებები (ამ ეტაპზე შესწავლილი არაა) გამოირჩევიან ფოტოქრომული თვისებებით. ფოტოქრომული ნაერთების გამოყენების ძირითად სფეროს მათი შეფარდების ინტენსიური ცვლილება განაპირობებს, რაც განსაკუთრებით პერსპექტიულია ოფთალმოლოგიური მშის საწინააღმდეგო მინების წარმოებაში. უნდა აღინიშნოს ამ მასალების გამოყენება სტომატოლოგიაში, როგორც კბილის შემაჯავებელი. ფოტოქრომული მასალები გამოიყენება ასევე სითამამოუბისა და კოსმეტიკური მასალების წარმოებაში. ბოლო პერიოდში, მნიშვნელოვანი კვლევები გარდობა მოლეკულური კომპიუტერული შექმნის თვალსაზრისით. სპირობიბიოლოგიაში

რომ, ახლა მიმდინარეობს თვისებების კვლევა. ბიოლოგიური აქტიურობის შესაძლებლობა უკვე შეფასდა Pass-ის პროგრამის მეშვეობით. ახლა მიმდინარეობს (კიდევ ორი ნივთიერების) ფოტოქრომული თვისებების კვლევა ულტრაიისფერი სპექტრების მეშვეობით. ეს პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრაზე მიმდინარე კვლევების ნაწილია.

„ჩემს შემთხვევაში, სირთულეს წარმოადგენდა ნივთიერების შესწავლვით დაკავშირებული გათვალისწინებული რეგულაციები, რის გამოც დაგვიანდა კვლევის პროცესში საჭირო ნივთიერებების შემოტანა. თუმცა ამავე არ გამოწვევები პროექტით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის ცვლილება. მოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ორგანული სინთეზი ქიმიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და შრომატევადი მიმართულებაა, თუმცა პროექტის განმავლობაში არ შემქმნია ისეთი პრობლემა, რომ კვლევის პროცესი შეფერხებულიყო.“ – ამბობს სოფიკო.

ევი განმარტავს, რომ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო – კვლევითი პროექტების გრანტი დაფინანსების 2019 წლის კონკურსმა დიდი ცოდნა და გამოცდილება შესძინა. მოუწია გარკვეულ ეურიდეულ თუ ბუღალტრულ საკითხებში გარკვევებს და ამიტომ თელის, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული მეცნიერებისკენ.

„ამ ეტაპზე ჩართული ვარ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში. მაგისტრანტურის დასრულების შემდეგ ვაპირებ ლექტორანტურის საგრანტო პროგრამებში მონაწილეობას. იმისთვის რომ ჩამოყალიბდეს კარგი მეცნიერად, ექსპერტი, საჭიროა რაც შეიძლება მეტ კვლევით პროექტში იყო ჩართული. ეს მევი გაწეითარების შესაძლებლობას იძლევა.“ – გვეუბნება სოფიკო კვიციანიძე.

# ტსუ მაგისტრანტი სამსხე-ჯავახიშვილში არსებულ რელიგიურ იკენტობასა და რეგისტრაციულ იკენტობას

**1-ლი გვერდიდან**

„ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთხელ გაშუქდა რელიგიური ფონზე არსებული დაპირისპირების შემთხვევები საქართველოში, თუმცა კონფლიქტის მიზეზები სხვადასხვა სახის ხსენებულა. საინტერესოა, რომ დაახლოებით 70 კმ-ის რადიუსში სამი სხვადასხვა კონფლიქტი წარმოიშვა, სამივე რელიგიური ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ სამოთხედობისა და მდობის ინტერესი დიდი იყო, სამეცნიერო კვლევა ვერ არ ჩატარებულა, რაც თემის სახლის გამო სასურველი ბუნებრივია. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ მოცემული პროექტით შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება, რადგან თემა აქტუალურია და სამოთხედობისთვის საინტერესოა და მნიშვნელოვანი.



პროექტის პირველ ეტაპზე დაიკვება სამუშაოები, რომლებიც კვლევის მიზნების მისაღწევად აუცილებელია. პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იყო არსებული ლიტერატურის შესწავლა (ძველი და ახალი, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული) რელიგიური იდენტობის, რემიგნაციონის, ასევე საკვლევი სოფლების ისტორიისა და დემოგრაფიის შესახებ. კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა საკვლევ სამუშაოებს, რომლებშიც იგულისხმება ბუნებრივი პირობებში მოსახლეობა ქვეყნებში, მოქმედებებში, ერთმანეთთან ურთიერთობისა და მოვალე ვითარებაზე დაკვირვება. დაკვირვების პარალელურად, მიმდინარეობდა სიღრმისეული ინტერვიუები იმ რესპოდენტებთან, რომლებიც უშუალოდ კონფლიქტის გადაჭრაში იღებდნენ მონაწილეობას ან კონფლიქტის მხარეებს წარმოადგენდნენ. კვ-

მნიშვნელოვანი და საინტერესოა თავად მაღალი რანგის სასულიერო პირების პოზიციები, მათი ხედვები. ველზე მუშაობისას სოფლებში თავად რესპოდენტები ერთდროულად ხმამაღლა ამ თემაზე საუბრობდნენ, რადგან სხვადასხვა მიზეზების გამო, ამას არასწორად თვლიან, არ სურთ კონფლიქტის რეესკალაცია. მიუხედავად ამისა, სხვა მეთოდებით ერთად, სიღრმისეულმა ინტერვიუებმა მოგვა საშუალება დაპირისპირებული მხარეების პოზიციები ამომწურავად შემქნავენა.“ – ამბობს სალომე.

მომავალში ახალი პროექტის შემუშავებას აპირებს სალომე სიმონიას ფარგლებში. საკვლევო თემა ვერ არ აქვს შერჩეული, მაგრამ მისი ინტერესის სფეროს რელიგია და რელიგიური ჯგუფები წარმოადგენს.

„მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა (რელიგია და რელიგიური ჯგუფები) აქტიური შესწავლის საგანია, ჩემთვის ანთროპოლოგიურ ჭრილში მოვლენების დანახვა. ეს მიმართულება ახალია საქართველოში და ჩემთვის ადამაგებით სკიმულს წარმოადგენს. კონკურსში გამარჯვების სირთულე დამოკიდებულია კონკურსის პირობების მუდმივად ნით შესრულების ხარისხზე. პროექტის პირველ ეტაპზე ყველა მოთხოვნა ისეთი დეტალურია, რომ თუ არ იცი შენი საკვლევი საკითხი სიღრმისეულად, მაშინ ლოკუმენტების ღონეზეც კი გათვალვება მონაწილეობა. ამიტომ აუცილებელია, რომ წინასწარ საკვლევი თემა კარგად იყოს შესწავლილი და გაანბნებული. მუსკად, გედმინეწი იყოს კვლევითი კვლევის მიზნები და ევლვის პროცესის ეტაპები.“ – ამბობს სალომე ქველიაშვილი.

# ტსუ-დან ჩინეთის სასწავლებლებში – საინტერესო გზა აღმოსავლეთისკენ

ტსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული შაკო ჩხალაძე ჩინეთის უენძინ (სახალხო) უნივერსიტეტში ჩაირიცხა. შაკო თანამედროვე ჩინეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობს. სწავლის პარალელურად კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში გადის სტაჟირებას.



შაკო ამბობს, რომ აღმოსავლეთი აზია ბავშვობიდან აინტერესებდა, პოლიტიკის მეცნიერის სპეციალობის გარდა, გადაწყვიტა სინოლოგიაც შეესწავლა. ტსუ პუშანიგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის პროგრამის გაყენი და სინოლოგიისა და იაპონისციკის მოღვლეს შორის, სინოლოგიის მიმართულება აირჩია. სინოლოგიის მოღვლემ ჩინურ ენასთან ერთად ჩინური კულტურის, ისტორიის, აღმოსავლეთი აზიის რელიგიებისა და სხვა დისციპლინების სწავლებდა.

„ტსუ-ში 2013 წელს ჩავაბარე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, კერძოდ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით. მაშინდელი ეს გადაწყვეტილება არც მოულოდნელი იყო და არც დაუგეგმავი, რადგან ბავშვობიდან მქონდა ისტორიული და პოლიტიკური მეცნიერებისადმი ინტერესი. აბიგურენტიბის რამდენიმე ვარიანტს შორის ბოლოს მაინც ტსუ ავირჩიე და დავეწყე ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნივერსიტეტმა შემძინა, იყო საინტერესო ჯგუფები, კურსელები თუ თანახუნებურად კვლევები, რომლებთანაც კომუნიკაცია როგორც სასწავლო, ისე სხვადასხვა სოციალურ პროცესებში მართლაც კარგად დამამხსოვრდა. ტსუ არ არის ადგილი, სადა გარკვეულ ცოდნას იძენ, ის ასევე არის ადგილი, სადა ბევრ ახალს სწავლობ – უნივერსიტეტის ბაღში საუბრებითაც, შენი თანახმობისგან თუ უფროსის თათბისგან.

პოლიტიკის მეცნიერებაზე სწავლის პარალელურად, გადაწყვიტე, რომ მჭირდებოდა გარკვეული რეგიონისა და სამოგალოების უფრო უკეთ შესწავლა, რათა შემდგომ უფრო ღებალური და სრულყოფილი ანალიზი შემდგებოდა კონკრეტული მიმართულებით. თავიდან ვეფიქრობდი რამდენიმე ენასა და რეგიონზე, ბოლოს პუშანიგარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მივაგენი საქმალად საინტერესო – შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის პროგრამას, რომელსაც ორი მოღვლი ჰქონდა – სინოლოგიისა და იაპონისციკის. ბავშვობიდან მქონდა აღმოსავლეთი აზიისადმი ინტერესი, შესაბამისად გადაწყვიტე სინოლოგიის მიმართულება ამერჩია. სინოლოგიის მოღვლემ ჩინურ ენასთან ერთად დაეწე ჩინური კულტურის, ისტორიის, აღმოსავლეთი აზიის რელიგიებისა და სხვა დისციპლინების შესწავლა, რაც პოლიტიკის მეცნიერებასთან ერთად, საკმალად კარგ კომბინაციას იძლეოდა.“ – გვიყვება შაკო. ამის შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში და განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ერთობლივ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ჩინეთის მთავრობის სტიპენდია მიიპევა.

„სტიპენდია ფარავდა ერთი წლის განმავლობაში ჩინური ენისა და კულტურის ინტენსიურ კურსს. სტიპენდიის მოპოვების შემდეგ ჩავირიცხე ჭეძინანგის უნივერსიტეტში, რომელიც მთლიანი ქვეყნის მასშტაბით მესამე პოზიციამა და იქ გადავტარე მთელი სასწავლო წელი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო უშუალოდ ჩინური ენის გაუმჯობესების კუთხით. ერთწლიანი სასწავლო კურსის შემდეგ, დაებრუნდი ტსუ-ში და დაეასრულე ბაკალავრიატის საფეხური. საბაკალავრო თემისზე მუშაობისას გამოიყენე მეტიარისა და მინორის სინთეზი და ავირჩიე თემა „სამხრეთ კავკასიის როლი „სარტყელი და გზა“ ინიციატივის ფარგლებში“, რომლის დაცვის შემდეგ მომინება პოლიტიკის მეცნიერებისა და შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხი.“

შაკომ ტსუ-ში საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა მაგისტრატურაზე სწავლა ისევე ჩინეთში გაეგრძელებინა.

ენებზე, ასევე აკადემიურ მოსწრების აღმინაწერს, სამოგვიაციო და სარეკომენდაციო წერილებისა და სასწავლო გეგმას, საბუნდოროდ, მეორედაც მოვიპოვე ჩინეთის მთავრობის სტიპენდია და ამჟამად სწავლობ ჩინეთის უენძინ (სახალხო) უნივერსიტეტის თანამედროვე ჩინეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე, როდესაც გამოწვევებზე ვსაუბრობ, ძირითადად მახსენდება ჩინეთში პირველი ჩასვლა. ენის ბარბიე მაინც არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ღონე უნივერსიტეტში უკვე გავლილი მქონდა; პირველი თვეები მაინც იყო გარკვეული სირთულეები, დანარჩენ პირობებს კარგად შევუგე“, – იხსენებს შაკო და ტსუ-სა და ჩინეთის უნივერსიტეტებში სწავლის მეთოდებს აბარებს.

„მეთოდებში გარკვეული სხვაობა არის, თუმცა რამე განსაკუთრებული არ დაუძლეული არ შემხვედრია. ჩემი ჯგუფები მთელი მსოფლიოა და არიან, ასევე, რა თქმა უნდა, გვიყავს ადგილობრივი ჯგუფებიც. გულწრფელად რომ ვთხოვ, რადგან თანამედროვე ჩინეთის კვლევების პროგრამაზე ვსწავლობ, უშუალოდ ჩინეთზე ინფორმაციულობის კუთხით არათუ არ ჩამოეუვარდებო, მოგ შემთხვევაში მეტა ვიცით ხოლმე უცხოელ სტუდენტებთან შედარებით, რაც სასიამოვნო ფაქტია.

ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში გადღეირ სტაჟირების, რაც სწავლის პარალელურად, საინტერესო გამოცდილებაა. საელჩოში ყოფნა, უნივერსიტეტის თეორიულ ცოდნასთან ერთად, მეზმარება უკეთ ადვილად გააწყვეტელობის მიღების თანხმობა პროცესი უშუალოდ ჩინეთში და ორ ქვეყანას შორის მიმდინარე საეკტრო-პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები“, – ამბობს შაკო.

სამომავლოდ, ტსუ-სთან ერთობლივად, ერთ საინტერესო პროექტის“ განხორციელებას ვგეგმავ. თუკი პროექტის შინაარს არ გვიზღვს, თუკი გვეუბნება, რომ პროექტი კავშირში იქნება ჩინეთმცოდნეობის დარგის განვითარებასთან.

„როგორც ბევრ უნივერსიტეტს, მეც მაქვს ტსუ-სთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები. ამჟამად სინოლოგია ასოციაციისთვის წევრები, ოსუ შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების კურსდამთავრებულები, პროგრამის ხელმძღვანელები და თავისუფალი უნივერსიტეტის მკვლევრებთან ერთად ვმუშაობ ერთ საინტერესო პროექტზე, რომელსაც შემდეგ გაგიმხვლი. რაც უშუალოდ კავშირშია აკადემიასთან და ჩინეთმცოდნეობის დარგის განვითარებასთან. სამუშაოდ, ჩინეთმცოდნეობა, როგორც უნივერსიტეტი დისციპლინა, ახალგაზრდა დარგია საქართველოში და ბევრი გამოწვევა, უშუალოდ სახელმძღვანელობისა და ლიტერატურის კუთხით, თუმცა მაქვს პოზიტიური მოლოდინები და მეც ვაპირებ ჩემს მეგობრებთან ერთად გარკვეული წესილი შევიგანო აღნიშნული სტიპენდიის შესწავლა“, – ამბობს შაკო ჩხალაძე.

